ოქმი N 4

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2016 წლის 30 მაისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დოდო გაბუნია
2. მზია ლემონჯარია
3. აბელ ქირია
4. კახა მიქაბერიძე
5. ავთანდილ ხუნჯუა
6. კონსტანტინე ნასარაია
7. რამინ ხილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. გაბუნია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 29 მაისის N09/2487 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 29 მაისის N09/2487 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების" მუხლში გამოყოფილი თანხა 15000 ლარი 28 მაისის მდგომარეობით ამოწურულ იქნა. ამ ეტაპზეც არაერთი განცხადებაა შესული მერიაში „C" ჰეპატიტზე გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით სოციალურ პროგრამაში არსებული ეკონომიიდან, კერძოდ: „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარების" მუხლიდან 900 ლარი, „შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსების" მუხლიდან 2400 ლარი, „ახალშობილთა ოჯახებისთვის დახმარების" მუხლიდან 4100 ლარი და „უსახლკაროთა ბინის ქირის" მუხლიდან 1600 ლარი, ჯამში 9000 ლარი წარმოდგენილი პროექტით გადატანილია „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების" მუხლში. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით საკითხი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დ. გაბუნია